სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 52

2016 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელთა გუნდის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნირო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 მარტის N49 ბრძანებით დამტკიცებული „2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წვრთნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურებისა და პირობების” 1-ელი მუხლის მე-11 პუნქტისა და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N275152, 21.03.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მათემატიკის 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიდერი - გიორგი ჭელიძე, ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; თსუ,ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი-მათემატიკის მიმართულების მთავარი სპეციალისტი;

ბ) თანალიდერი - გივი ნადიბაიძე, ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; თსუ,ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი-მათემატიკის მიმართულების მთავარი სპეციალისტი;

გ) ასისტენტი - უშანგი გოგინავა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;თსუ,ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი-მათემატიკის სრული პროფესორი.

2. დამტკიცდეს ფიზიკის 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიდერი - დავით ნიშნიანიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ქ.ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ.უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ბ) თანალიდერი - ნიკოლოზ ჩხაიძე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი-ფიზიკის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი;

გ) ასისტენტი - გიორგი დალაქიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

3. დამტკიცდეს ინფორმატიკის 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიდერი - გიორგი მანდარია - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; ინჟინერ-პროგრამისტი; ინჟინერ-პროგრამისტი;შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ბ) თანალიდერი - ზაზა გამეზარდაშვილი თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ქ.თბილისის 199-ე საჯარო სკოლის ინფორმატიკის წრის ხელმძღვანელი;

გ) ასისტენტი - ვახტანგ შეკიშვილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის IT სპეციალისტი; ქ.ქუთაისის ა.რაზმაძის სახ.ფიზიკა-მათემატიკის 41-საჯარო სკოლის ინფორმატიკის პედაგოგი.

4. დამტკიცდეს ბიოლოგიის 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიდერი - ეკატერინე ბაკურაძე -ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ბ) თანალიდერი - ირინა მოდებაძე ბიოლოგიის დოქტორი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული -პროფესორი;

გ) ასისტენტი- ნანა ბარნაველი ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის- ასისტენტ-პროფესორი.

5. დამტკიცდეს ქიმიის 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიდერი - თინათინ ბუთხუზი - ქიმიის დოქტორი; დემირელის სახ.კერძო კოლეჯის ქიმიის პედაგოგი;

ბ) თანალიდერი - ვახტანგ კურცხალია- ტექნიკის მეცნიერებათა პროფესორი;

გ) ასისტენტი - ინგა აბდუშელიშვილი ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.

6. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი